ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135242084**
თარიღი:**26/07/2024**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა მესტია, სტალინის ქუჩა N 7-ში ,არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.06.38.088), მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.06.50.299) გაცვლის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „დ.ზ“ პუნქტის, ამავე კოდექსის 122–ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, და სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლის და მოქალაქე გურგენ ჯაფარიძის 2024 წლის 05 თებერვლის N : 19/1342403627-134 განცხადების საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას, მოახდინოს მესტიის მუნიციპალიტეტი, დაბა მესტია, ქუჩა სტალინის N-7-ში მდებარე 157 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ: 42.06.38.088 გაცვლა, ამავე ტერიტორიულ ერთეულში, ჰაწვალში მდებარე 200 კვ.მ მიწის ნაკვეთში ს/კ: 42.06.50.299.

2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი